სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ივნისი №12

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / Formal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-51

instruqcia / **Instructions** ----------52-53

auqcioni / **Auction** ---------- 45

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** ---46-47

situaciuri saxelmZRvaneloebi / **Situational manuals** ---- 48-55

es sainteresoa / **This is interesting** ---------- 56

gadasaxadebi #12, 2018

GADASAKHADEBI #12, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ჰ^{35}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{35}) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლითაც ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^{1}3 მუხლით გათვალისწინებული პირების მიერ ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შეძენა, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;“;

ბ) „ჰ^{48}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{49}“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ჰ[49]) სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული, მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის/საჯარო სამართლის იურიდიული პირების, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულების, მიერ განხორციელებული პროგრამა, რომელზე ჩარიცხვის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებსა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სრული ზოგადი განათლება ან საბაზო ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.“.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „გ[2]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ[2]) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით განსაზღვრავს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოცულობასა და ოდენობას, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას;“;

ბ) „გ[5]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ[5]) უფლებამოსილია საქართველოს იმ მოქალაქის, აგრეთვე „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული იმ პირის, რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) მიღებული განათლების აღიარების შემდეგ სწავლას განაგრძობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სახელმწიფო სასწავლო გრანტის შესაბამისი წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობით დაფინანსების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით განსაზღვროს აღნიშნული პირების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების წლიური მოცულობა, ოდენობა და პირობები. საქართველოს მთავრობა ასევე უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით განსაზღვროს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობა და წესი;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. 47^3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„.1 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლა აუცილებელია ამ კანონის 52-ე მუხლის 1^2 პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხული პირებისათვის.“;

ბ) მე-4–მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლას განაგრძობენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.

5. აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

6. სტუდენტები ვალდებული არიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა განაგრძონ ქართულ ენაზე.

7. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განახორციელოს სტუდენტების მიღება.“.

4. 52-ე მუხლის:

ა) 1^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2 . ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს იმ აბიტურიენტს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე ან „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^{13} მუხლით გათვალისწინებული პირი და რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი ტესტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი;

ბ) ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი;

გ) ოსური ენის ტესტი;

დ) აფხაზური ენის ტესტი.";

ბ) 5^1 და 5^2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5^1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, სტუდენტების ჩარიცხვისათვის აცხადებს ადგილებს – ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობის:

ა) 5%-ს – ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის;

ბ) 5%-ს – ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღებისტუდენტებისათვის;

გ) 1%-ს – აფხაზური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის;

დ) 1%-ს – ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე მისაღები სტუდენტებისათვის.

5^2. შესაბამის წელს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩასარიცხი აბიტურიენტების რაოდენობის გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოტივირებული გადაწყვეტილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია ამ მუხლის 5^1 პუნქტით გათვალისწინებული პროცენტული გადანაწილებების შეცვლა მათი ჯამის ფარგლებში.";

გ) 5^2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^3 პუნქტი:

„5^3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, ამ კანონის 52^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტების ჩარიცხვისათვის განსაზღვროს ადგილების რაოდენობა ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობის არანაკლებ 1%-ისა.";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) 9^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„91. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს იმ აბიტურიენტთა სიებს, რომლებმაც მოიპოვეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება, და ამ სიებს უგზავნის შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 52^2 მუხლი:

„მუხლი 52^2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო- სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლებამიღებული პირის მიღების საფუძველი

1. საქართველოს მოქალაქეებსა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20^{13} მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, უფლება აქვთ, სწავლა განაგრძონ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის დასრულების, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შეფასების საფუძველზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის ათვისების დადასტურების შემდეგ.

2. სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამის განხორციელებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, აგრეთვე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შეფასების საფუძველზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის ათვისების დადასტურების წესი მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.“.

6. 54-ე მუხლის 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. იმ სტუდენტთა დაფინანსების წესს, რომლებმაც უნდა ისწავლონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით და სწავლა განაგრძონ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით, განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. 66-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ითანხმებს ყოველწლიურად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე, აგრეთვე იმ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას, რომლებიც ირიცხებიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.“.

8. მე-80 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მიღების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეს, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირს და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომლებიც ამ კანონით დადგენილი წესით ჩაირიცხნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.“.

9. 80[1] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეს, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირს და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომლებიც ამ კანონით დადგენილი წესით ჩაირიცხნენ ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.“.

10. 89[1] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების შემდეგ საქართველოს მოქალაქეს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირს უფლება აქვთ, სწავლა განაგრძონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

11. 90-ე მუხლის:

ა) 2^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^2. ამ კანონის 52-ე მუხლის 1^2 პუნქტით გათვალისწინებული ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტების ჩარიცხვა არის დროებითი ღონისძიება და მოქმედებს 2023-2024 სასწავლო წლის ჩათვლით.“;

ბ) 2^3 და 2^4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა და საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

6 **ივნისი** 2018 **წ.**

N2480-**რს**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №320

2018 წლის 5 ივნისი, ქ. თბილისი

„ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/02/2011, 440050000.10.003.016245) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. **„ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ დებულების**:

ა) **მე-2 მუხლის**:

ა.ა) **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) **გენერალური დირექტორი** – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, რომლის ფუნქციებში შედის დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება და, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;“;

ა.ბ) **„გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) **დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ი** - პირი/პირთა ჯგუფ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც აფასებს/აფასებენ საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარდგენილ პროექტებს;“;

ა.გ) **„ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ზ) **თანამონაწილე ორგანიზაცია** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია, წამყვან ორგანიზაციასთან ერთად, უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) **მიზნობრივი ანგარიში** - საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული წამყვანი ან/და თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო/სახაზინო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა;";

ა.დ) „მ" **ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მ) **პროექტის შეფასების კრიტერიუმები** – ფონდში წარდგენილი პროექტების შესაფასებლად დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის და/ან დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისათვის განსაზღვრული, ამ დებულებით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით;";

ა.ე) „ტ" **და** „უ" **ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ტ) **ტრანში** – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული, კონკრეტული პერიოდისთვის

გადასარიცხი/გადარიცხული სახსრები;

უ) **ფონდი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;";

ა.ვ) „ღ" **ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ღ) **წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანი არის სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.";

ბ) მე-3 **მუხლის** მე-2 **პუნქტის** „გ" **და** „დ" **ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) დამოუკიდებელ ექსპერტთა და/ან დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ პროექტების შეფასებისთვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

დ) დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან და/ან დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით, დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას;";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მე-5 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 2 ან 3 წელი. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ, 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელების შესახებ, დამატებითი დაფინანსების გარეშე.“;

გ.ბ) მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებებისათვის: 2-წლიანი პროექტებისათვის – არაუმეტეს 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარისა; 3-წლიანი პროექტებისათვის – არაუმეტეს 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარისა;

ბ) ამ დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებებისათვის: 2-წლიანი პროექტებისთვის – არაუმეტეს 120 000 (ას ოცი ათასი) ლარისა; 3-წლიანი პროექტებისათვის – არაუმეტეს 180 000 (ას ოთხმოცი ათასი) ლარისა;“;

გ.გ) მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებებისათვის – 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარს;

ბ) „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებებისათვის – 60 000 (სამოცი ათასი) ლარს;

გ) „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებისათვის, რომელიც მოიცავს საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, აგრარულ მეცნიერებებს, ინჟინერიასა და ტექნოლოგიებს – 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარს, ხოლო პროექტებისათვის, რომლებიც მოიცავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს – 60 000 (სამოცი ათასი) ლარს;“;

გ.დ) მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პროექტში ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის ჩართვის შემთხვევაში, ძირითადი პერსონალისათვის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 45 000 ლარს. აღნიშნული თანხიდან ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის საგრანტო დაფინანსებისათვის განკუთვნილი უნდა იყოს არაუმეტეს 15000 ლარისა წელიწადში, ხოლო გამოცდილ მეცნიერთა საგრანტო დაფინანსებისათვის არაუმეტეს 30000 ლარისა წელიწადში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პროექტში არ არის/არ არიან ჩართული ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ი, ძირითადი პერსონალისათვის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 30 000 ლარს;";

გ.ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ საბანკო/სახაზინო ანგარიშებზე ავანსის სახით. პირველი ტრანში გადაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდების შუალედური ანგარიშების განხილვის აქტების საფუძველზე.";

დ) მე-7 მუხლის „გ" და „დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) პროექტის შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მეშვეობით;

დ) დამოუკიდებელ ექსპერტთა/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის შეფასების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება;";

ე) მე-9 მუხლის:

ე.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემათ დამოუკიდებელ ადგილობრივ ან/და უცხოელ ექსპერტებს ან/და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ს. პროექტის შეფასება უნდა განახორციელოს, სულ ცოტა, ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა. ფონდს შეფასების შედეგი წარედგინება თავის მიერ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე.ბ) 2^1 და მე-3 **პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2^1. დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან ან/და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე, პროექტის საბოლოო შეფასება გამოიანგარიშება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

3. დამოუკიდებელი ექსპერტებისგან ან/და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე, ფონდი ადგენს და გენერალური დირექტორი ამტკიცებს პროექტების რანჟირებულ სიებს, ამ დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს თითოეული სამეცნიერო მიმართულებებისა და მიმართულებით გათვალისწინებული ქვემიმართულებებისათვის ცალ-ცალკე დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი ზღვრული შეფასება. რანჟირებული სიების საფუძველზე, გენერალური დირექტორი უფლებამოსილია, გამოყოს სათადარიგო პროექტები, რომლებიც ჩაენაცვლება გამარჯვებულ პროექტებს იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულებთან არ გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.“;

ე.გ) მე-3 **პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 3^1 **პუნქტი**:

„3^1. დამოუკიდებელი ექსპერტის/დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის წევრთა ვინაობა კონფიდენციალურია.“;

ე.დ) მე-5 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ პროექტის ძირითადი პერსონალის, წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდი უზრუნველყოფს მათი პროექტის შესახებ დამოუკიდებელ ექსპერტთა ან/და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული დასკვნების გაცნობას.“;

ვ) მე-10 **მუხლის**:

ვ.ა) **პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. დაუშვებელია, დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფის წევრი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებდეს დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფის წევრი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითად პერსონალთან ან მონაწილეობას იღებდა მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

ბ) რომელმაც შესაძლოა, უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.";

ვ.ბ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფის წევრი ვალდებულია, გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია დამოუკიდებელი ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია, იმსჯელოს დამოუკიდებელი ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.";

ზ) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნით ფონდსა და გრანტის მიმღებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ გამოგონებას დააპატენტებს გრანტის მიმღები, ფონდს წარმოეშობა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების პროცენტულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 85% – გრანტის მიმღებს (35% იურიდიულ პირს, 50% – მეცნიერთა ჯგუფს – ფიზიკურ პირებს) და 15% – ფონდს, როგორც გრანტის გამცემს. აღნიშნულთან დაკავშირებით, გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.";

თ) მე-12 მუხლის:

თ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. ფონდი, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი შუალედური/საბოლოო ანგარიშების წარდგენის საფუძველზე, ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.“;

თ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი შუალედური/საბოლოო ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით, გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.“;

თ.გ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ფონდი უფლებამოსილია, განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად, ფონდი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტისა და დასრულების შესახებ. ფონდი უფლებამოსილია, აუდიტორული კომპანიის შემოწმების უარყოფითი დასკვნის ფაქტი გაითვალისწინოს საგრანტო ხელშეკრულების დამრღვევ პირთა რეესტრის ე.წ. „შავი სიის“ წარმოებისას.“;

ი) მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში ფონდში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, წარდგენილ ანგარიშებზე ფონდის მიერ დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები, აუდიტორული შემოწმების შემთხვევაში, მიღებულია დადებითი დასკვნა, მხარეთა შორის გაფორმებულია შედარების აქტი და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.“.

2. **„საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები“ ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად**.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი

საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმებია:

კრიტერიუმები და განმარტებები	C-	C	C+	B-	B	B+	A-	A	A+	შეფასება (A/B/C) კრიტერიუმის მიხედვით
1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა
1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება 1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები 1.3. კვლევის მეთოდოლოგია 1.4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა										
2. პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი	1	2	3	4	5	6	7	8	9	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა
2.1. პროექტის ხელმძღვანელის მიღწევების, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა კვლევით პროექტთან 2.2. ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და უნარების შესაბამისობა კვლევითი თემასთან 2.3. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა										
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3.1. პროექტის შესრულების გეგმის (ამოცანების და აქტივობების ეტაპების, ვადების და გზების) განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებთან 3.2. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3.3. წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან 3.4. პროექტის მდგრადობა, პროექტის განხორციელების რისკების ანალიზი და რისკების აღმოფხვრის გზები										
ქულების ჯამი:										მინიმუმ - 3 მაქსიმუმ - 27 ქულა

შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ (ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი შეფასება სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად);

- ☐ A
- ☐ B
- ☐ C

შემაჯამებელი კომენტარი პროექტის შესახებ (ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი კომენტარი სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად):

2. შეფასების სამი კრიტერიუმიდან (1 - სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, 2 - პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი, 3 - პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა) თითოეული ფასდება 9-ქულიანი სისტემით (1-9), სადაც 1-3 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 4-6 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 7-9 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 27 ქულა. კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	შეფასება ABC კატეგორიით	შეფასება	განმარტება
1	C-	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გარეულებულია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

			პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ან კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არადამაკმაყოფილებელია
6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ უეცილებელია გარკვეული გაუმჯობესება
8	A	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს

3. შემაჯამებელი შეფასება ეფუძნება და შესაბამისობაში უნდა იყოს შეფასების სამივე კრიტერიუმში 9 ქულიანი (1-9) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	ABC კატეგორია
21-27	A
10-20	B
1-9	C

4. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 17 ან მეტი ქულა.

5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

6. 9 ან ნაკლები ქულის (C კატეგორიის შეფასების) მიღების შემთხვევაში პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს ეზღუდება ფონდის ადმინისტრირებით მიმდინარე ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით მონაწილეობის უფლება 1 წლის ვადით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №323

2018 წლის 8 ივნისი, ქ. თბილისი

„შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №603 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №603 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017, 270000000.10.003.020313) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო

1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 870 500 (რვაას სამოცდაათი ათას ხუთასი) ლარით.

2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების (მათ შორის, პროგრამის ადმინისტრირების ხარჯების) დაფინანსება ხორციელდება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი: 35 05) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №213

2018 წლის 1 ივნისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„**მუხლი** 1^1. **წინასწარი ინფორმაცია**

1. საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს წინასწარი ინფორმაცია საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალების, ამ სატრანსპორტო საშუალებით გადასაადგილებელი საქონლის ან/და მგზავრების შესახებ (შემდგომში – წინასწარი ინფორმაცია).

2. წინასწარი ინფორმაცია საგადასახადო ორგანოსათვის მიწოდებული უნდა იქნეს საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ელექტრონული საშუალებით, შემდეგი ფორმატების გამოყენებით:

ა) EDIFACT PNRGOV, როგორც ეს აღწერილია EDIFACT-ის აღსრულების სახელმძღვანელო მითითებაში; მგზავრის სახელის ჩანაწერის მონაცემები, მიწოდებული სახელმწიფო ან სხვა ორგანოსთვის; PNRGOV შეტყობინების ვერსია 11.1 ან შემდგომი ვერსია;

ბ) XML PNRGOV, როგორც ეს აღწერილია XML-ის სახელმძღვანელო მითითებაში; მგზავრის სახელის ჩანაწერის მონაცემები, მიწოდებული სახელმწიფო ან სხვა ორგანოსთვის; PNRGOV შეტყობინების ვერსია 13.1 ან შემდგომი ვერსია.

3. იმ შემთხვევაში, თუ:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ტექნიკური ხარვეზის/შეფერხების არსებობისას შეუძლებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმატების გამოყენება, წინასწარი ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსათვის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი სხვა საშუალებით, უსაფრთხოების შესაბამისი ნორმების დაცვით;

ბ) საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელ პირს არ აქვს ტექნიკური შესაძლებლობა, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფორმატების შესაბამისად მიაწოდოს საგადასახადო ორგანოს წინასწარი ინფორმაცია, აღნიშნული მონაცემების ელექტრონული ფორმით მიწოდების სხვა ტექნიკური საშუალებები და ფორმები დამატებით განისაზღვრება საგადასახადო ორგანოს მიერ.

4. საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალების და ამ საშუალებით გადასაადგილებელი საქონლის შესახებ წინასწარი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) საქონლის ჩამოსვლის თარიღი;

ბ) საბაჟო საწყობი;

გ) გადამზიდავი ავიაკომპანია;

დ) რეისის ნომერი;

ე) ავიაზედდებულის ნომერი;

ვ) ადგილების რაოდენობა;

ზ) საქონლის საერთო წონა;

თ) საქონლის მიმღების შესახებ ინფორმაცია;

ი) საქონლის დასახელება.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ინფორმაცია იგზავნება საჰაერო ხომალდის გეგმით გათვალისწინებული გამგზავრებისას/გამომგზავრებისას.

6. საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალების და ამ საშუალებით გადასაადგილებელი მგზავრების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) მგზავრის სახელის ჩანაწერის (PNR) შემთხვევაში:

ა.ა) მგზავრობის მარშუტი (მათ შორის, მგზავრობის დაგეგმილი თარიღი და ფრენის საზიარო კოდი (არსებობის შემთხვევაში));

ა.ბ) მგზავრთა საერთო რაოდენობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.გ) თითოეული მგზავრის:

ა.გ.ა) სახელი და გვარი, აღნიშნული ავიახაზების შესაბამის სისტემაში;

ა.გ.ბ) სტატუსი (მგზავრი/ტრანზიტული მგზავრი);

ა.გ.გ) PNR ნომრის აღმნიშვნელი უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი (რომელიც აღნიშნულია ავიახაზების შესაბამის სისტემაში);

ა.გ.დ) დასაჯდომად გამოყოფილი სპეციალური ადგილის ნომერი;

ა.გ.ე) მგზავრობის დაწყებისა და დასრულების თარიღები;

ა.გ.ვ) ბილეთის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ბილეთის ნომერი, ბილეთი მხოლოდ ერთ გზაზე, ბილეთის დაჯავშნის/გაცემის თარიღი, თანხის გადახდის მეთოდი, ასევე შესყიდვის დოკუმენტის გამცემის კოორდინატები);

ა.გ.ზ) ბარგთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ა.დ) ტურისტული სააგენტოს/აგენტის შესახებ ინფორმაცია;

ა.ე) საზიარო PNR კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ა.ვ) არსებობის შემთხვევაში:

ა.ვ.ა) ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სხვა PNR ინფორმაციასთან;

ა.ვ.ბ) ყველა შესაძლო ინფორმაცია (უფასო ბილეთები, ბონუსები და ა.შ.) მგზავრებზე, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ;

ა.ვ.გ) ყველა ხელმისაწვდომი საკონტაქტო ინფორმაცია (მათ შორის, ინფორმაციის წყაროს შესახებ);

ა.ვ.დ) ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ არის მითითებული ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და რომელსაც შესაძლებელია მოიცავდეს მგზავრის სახელის ჩანაწერი;

ა.ზ) ზოგადი შენიშვნა, რაც მოიცავს არასრულწლოვანი მგზავრის მეურვის შესახებ ყველა შესაძლო ინფორმაციას: სახელი, გვარი, სქესი, ასაკი, კავშირი არასრულწლოვანსა და მეურვეს შორის, ტელეფონის ნომერი და სხვ.;

ა.თ) ინფორმაცია ამ პუნქტის „ა.ა“–„ა.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების თაობაზე;

ბ) მგზავრის შესახებ წინასწარი ინფორმაციის (API) შემთხვევაში:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ა) რეისის საიდენტიფიკაციო ნომერი (IATA Airline code ან/და რეისის ნომერი);

ბ.ბ) გამგზავრების/გამომგზავრების თარიღი და დრო (მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი თარიღი და დრო);

ბ.გ) გამგზავრების/გამომგზავრების აეროპორტის/ქალაქის დასახელება;

ბ.დ) დანიშნულების აეროპორტი/ქალაქის დასახელება;

ბ.ე) არსებობის შემთხვევაში, შემდგომი დანიშნულების აეროპორტის/ქალაქის დასახელება;

ბ.ვ) გეგმით გათვალისწინებული დანიშნულების ადგილზე მისვლის თარიღი და დრო (მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი თარიღი და დრო);

ბ.ზ) მგზავრთა საერთო რაოდენობა;

ბ.თ) თითოეული მგზავრის:

ბ.თ.ა) სახელი, გვარი, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი;

ბ.თ.ბ) სამგზავრო დოკუმენტის ტიპი, ნომერი, მოქმედების ვადა და გამცემი ორგანოს დასახელება;

ბ.თ.გ) სტატუსი (მგზავრი/ტრანზიტული მგზავრი);

ბ.თ.დ) ჩასხდომის ადგილი;

ბ.თ.ე) დანიშნულების ადგილი (მგზავრობისას);

ბ.თ.ვ) დასაჯდომად გამოყოფილი სპეციალური ადგილის ნომერი;

ბ.თ.ზ) PNR ნომრის აღმნიშვნელი უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი (რომელიც აღნიშნულია ავიახაზების შესაბამის სისტემაში);

ბ.თ.თ) ვიზის (არსებობის შემთხვევაში) ნომერი, გაცემის თარიღი და ადგილი;

ბ.თ.ი) ბოლო 1 წლის განმავლობაში ძირითადი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია (ქვეყანა/შტატი/რეგიონი, ქალაქი, მისამართი და საფოსტო კოდი), ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში;

ბ.ი) მგზავრთა ბარგის საერთო რაოდენობა და, არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ნომრები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. PNR ინფორმაცია ნიშნავს ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მონაცემებს, რომელიც შეიცავს ავიაგადამზიდველის მიერ რეისის ჯავშანთა დამუშავებისა და კონტროლისთვის აუცილებელ ინფორმაციას, მოცემულს დაჯავშნის სისტემაში, გამგზავრების კონტროლის სისტემაში ან ნებისმიერი ანალოგიური ფუნქციების მქონე სისტემებში, ხოლო API ინფორმაცია – ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მონაცემებს. ამასთან, PNR ინფორმაცია წარმოადგენს ძირითადად მგზავრის მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს, რომელთა შეცვლა საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი პირის მიერ დაუშვებელია.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ინფორმაციის:

ა) საგადასახადო ორგანოსათვის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა.ა) PNR ინფორმაციის შემთხვევაში – პირველი შეტყობინება იგზავნება საჰაერო ხომალდის გეგმით გათვალისწინებულ გამგზავრებამდე/გამომგზავრებამდე 48 საათით ადრე, ხოლო მეორე შეტყობინება (მათ შორის, დაზუსტებული) – საჰაერო ხომალდის გეგმით გათვალისწინებული გამგზავრებისას/გამომგზავრებისას;

ა.ბ) API ინფორმაცია იგზავნება – საჰაერო ხომალდის გეგმით გათვალისწინებული გამგზავრებისას/გამომგზავრებისას;

ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე პრევენციის მიზნით;

გ) საგადასახადო ორგანოს მონაცემთა ბაზაში შენახვა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადით, რის შემდეგაც ინფორმაცია იშლება/ნადგურდება ავტომატურად.

9. იმ შემთხვევაში, თუ R ინფორმაციის რომელიმე მონაცემი არ შეესაბამება API ინფორმაციის შესაბამის მონაცემს, საბაჟო კონტროლის განხორციელებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს API ინფორმაციის მონაცემი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №244

2018 წლის 20 ივნისი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. 81-ე **მუხლის**:

ა) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^4, 6^4, 91^2, 91^3 მუხლის პირველი ნაწილით, 99-ე, 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1 მუხლით, 135^2 მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153^1, 153^5, 153^7, 153^8, 154^1, 154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი-მე-10 და მე-13-მე-14 ნაწილებით, 155^5, 155^6 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 157-ე, 157^1 – 157^4, 158-ე, 158^1, 159^4, 163-ე, 164-ე, 164^4, 165-ე –165^3, 165^{10}, 171^5, 177^{14}, 178-ე, 179^3, 191^1, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1 მუხლით, 135^2 მუხლის მე-2 ნაწილით, 153^7 და 153^8 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი-მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 157-ე , 165-ე და 165^{10} მუხლებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 177^{14}, 179^3, 191^1, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტით.“;

ბ) მე-7 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში, ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლის მე-2 ნაწილით, 153^7 და 153^8 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი - მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 177^{14} და 191^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.“.

2. 82-ე **მუხლის** მე-5 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას და უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე, ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^7 და 153^8 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი - მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით და 191^1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ითვლება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლის მე-2 ნაწილით და 177^{14} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ადმინისტრაციული გამოკვლევის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადგილზე არ შედგეს და სამართალდამრღვევს ჩაჰბარდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. ამ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერა სავალდებულო არ არის. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი შესაძლებელია დაფიქსირდეს ტექნიკური საშუალებით (ფოტო-ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით).“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 7 ივლისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №245

2018 წლის 20 ივნისი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №408 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №408 ბრძანებით (ვებგვერდი, 08/12/2015, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016839) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. **მე-11 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი**:

„**დ) რისკების მართვის განყოფილება.**“.

2. **მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი**:

„5. **რისკების მართვის განყოფილების ძირითადი ფუნქციებია**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ქონების მიღების, აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის პროცესებში არსებული რისკების გამოვლენა და იდენტიფიკაცია;

ბ) ქონების მიღების, აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის პროცესებზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრა/ანალიზი რისკების მართვის პროცესებთან მიმართებაში და რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავება;

გ) წინადადებების მომზადება ქონების მიღების, აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის პროცესებში იდენტიფიცირებული რისკების შემცირების უზრუნველსაყოფად;

დ) ამ დებულებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული იმ ფუნქციების განხორციელება, რაც დაკავშირებულია სააგენტოს მიზნებთან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №87/ნ

2018 წლის 8 ივნისი, ქ. თბილისი

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით (სსმ, 163, 14/12/2010) დამტკიცებულ „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ (დანართი №4):

1. 090351 პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი პროფესიული სპეციალიზაცია:

„090352 – ფარმაცია.“.

2. 090553 პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი პროფესიული სპეციალიზაცია:

„090554 – საექთნო საქმე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №90/ნ

2018 წლის 11 ივნისი, ქ. თბილისი

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 30/12/2011, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016261) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №92/ნ

2018 წლის 11 ივნისი, ქ. თბილისი

„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.016672) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 42-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 42. **გარდამავალი დებულებანი**

1. ეს დებულება გავრცელდეს 2013 წლის 24 ივლისიდან, სამინისტროს, ცენტრის, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და დაწესებულების მიერ 2013 წლის შემოდგომის ტესტირებისათვის ტესტების მომზადებისა და რეგისტრაციის მიზნით განხორციელებულ მოქმედებებზე.

2. სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უფლებამოსილია 2018 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა მიღება გამოაცხადოს 2018 წლის გაზაფხული – ზაფხულის პერიოდში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მონაწილეობის უფლება არ აქვს პირს, რომელმაც 2018 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით უკვე მოიპოვა სწავლის უფლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით:

ა) სამინისტრო:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ა) ცენტრის წარდგინებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების ჩატარების განრიგს;

ა.ბ) ტესტირებამდე 3 დღით ადრე ცენტრს წერილობითი სახით წარუდგენს ინფორმაციას (ექსპერტთა გუნდის დასკვნას/დასკვნებს) იმ აპლიკანტთა თაობაზე, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება გადაადგილებაში, ტესტი გაზრდილი შრიფტით (შრიფტის ზომა არაუმეტეს 20-ისა) ან/და ტესტირების დროის გახანგრძლივება (არაუმეტეს გაორმაგებული დროისა).

ბ) მართვის სისტემა:

ბ.ა) რეგისტრაციის მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა ბაზების ფორმირებას 1 დღის ვადაში და ტესტირებამდე 3 დღით ადრე ცენტრს ელექტრონული ფორმით აწვდის აპლიკანტთაგანაწილების თაობაზე ინფორმაციას (აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და რეგისტრაციის სხვა მონაცემები);

გ) ცენტრი:

გ.ა) სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების განრიგს;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით, სსიპ– სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

დ.ა) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში აცხადებს აპლიკანტთა მიღებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე და მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ამ პროგრამებზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის შესახებ, ამ მუხლით გათვალისწინებული წესით;

დ.ბ) ელექტრონული ფორმით უზრუნველყოფს აპლიკანტთა რეგისტრაციას სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა მიღების მიზნით, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახული ინფორმაციის სისწორეს, აპლიკანტთა მიღების გამოცხადების დღეს, ადასტურებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაზე აპლიკანტთა მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით რეგისტრაციას 3 დღის ვადაში უზრუნველყოფს სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების ჩატარებას სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, უზრუნველყოფს ცენტრი.

7. ცენტრი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების დასრულებიდან 2 დღის ვადაში, მართვის სისტემას წარუდგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების შედეგებს.

8. მართვის სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების შედეგებს 1 დღეში ასახავს მართვის სისტემის სპეციალური პროგრამაში. ამ შედეგების ასახვის შემდგომ, 1 დღის ვადაში, აპლიკანტი უფლებამოსილია შეცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველადი საფეხურების რეიტინგული ჩამონათვალი, მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის ფარგლებში, ხოლო ამ ვადის ამოწურვიდან მომდევნო სამუშაო დღეს, მართვის სისტემა ცენტრს წარუდგენს მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახულ სრულ ინფორმაციას, აპლიკანტთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველადი საფეხურების საბოლოო რეიტინგულ ჩამონათვალსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის მისაღები ადგილების რაოდენობას ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ასევე ამ მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას.

9. ცენტრი, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებიდან 2 დღის ვადაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით ქმნის რანჟირების დოკუმენტის პროექტს, რომლის ელექტრონულ ვერსიას აწვდის მართვის სისტემას.

10. მართვის სისტემა, ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული რანჟირების დოკუმენტის პროექტის მიღების დღიდან 1 დღის ვადაში ადასტურებს წარმოდგენილი პროექტის სისწორეს და იმავე დღეს უბრუნებს ცენტრს ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც ცენტრი 1 დღის ვადაში ამტკიცებს რანჟირების დოკუმენტს, ხოლო მართვის სისტემა იმავე დღეს უზრუნველყოფს რანჟირების დოკუმენტში ასახულ აპლიკანტთა მონაცემების შეტანას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში.

11. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე ვერ მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მიღებული ქულა/ქულები შეინახოს და გამოიყენოს მხოლოდ ერთხელ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის მომდევნო ტესტირების მიზნებისთვის. აპლიკანტთა რანჟირება განხორციელდება შესაბამისი ტესტირების გათვალისწინებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

12. პირები, რომლებსაც 2017 წლის შემოდგომის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მიღებული ქულა/ქულები შენახული აქვთ, უფლებამოსილები არიან გამოიყენონ შენახული ქულა/ქულები ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პროფესიულ ტესტირებაზე.

13. აპლიკანტს არ შეუნარჩუნდება 2018 წლის გაზაფხულის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირების შედეგები იმ შემთხვევაში, თუ ის გავა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პროფესიულ ტესტირებაზე და მიიღებს შეფასებას.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №94/ნ

2018 წლის 18 ივნისი, ქ. თბილისი

„ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის №1067 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ** :

მუხლი 1

„ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის №1067 ბრძანებაში (სსმ, №148, 01/12/2009; სარეგისტრაციო კოდი: 430.210.000.22.022.013.869) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის“:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. დაინტერესებული პირის თანხმობით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ცენტრში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით, რომელსაც ამ მიზნისთვის სათანადო უფლებამოსილებას ანიჭებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.“.

2. **მე-5 მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3^1. დაინტერესებული პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების მიღების ფაქტის დადასტურების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია, მიიღოს ამავე წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ან საერთაშორისო ორგანიზაციისაგან.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №106/04

2018 წლის 14 ივნისი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 11 თებერვლის №10/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 140211, 14/02/2011; ს/კ: 220020000.18.011.016022) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 5%.“.

2. **მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით**:

„2. ეროვნული ვალუტის სარეზერვო ანგარიშზე არსებულ დასაცავი პერიოდის საშუალო ნაშთზე, მაგრამ არაუმეტეს მინიმალური რეზერვის თანხისა, ბანკს დაერიცხება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პროცენტი.”.

მუხლი 2

2018 წლის 26 ივნისიდან 2018 წლის 25 ივლისის ჩათვლით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვა კომერციულმა ბანკებმა უნდა განახორციელონ ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული წესით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 26 ივნისიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №109/04

2018 წლის 15 ივნისი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 11/08/2017; ს/კ: 200020000.18.011.016253) დამტკიცებული წესის დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით კომერციული ბანკები ხელმძღვანელობენ „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით დამტკიცებული დანართი 1-ის ცხრილი №1-ის და ცხრილი №2-ის ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული რედაქციით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბრიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი 1

ცხრილი №1

ყოველთვიური წმინდა შემოსავლების მოცულობა ლარში	სესხის მომსახურების კოეფიციენტი – მაქსიმალური მაჩვენებელი ჰეჯირებული მსესხებლებისათვის	სესხის მომსახურების კოეფიციენტი –მაქსიმალური მაჩვენებელი – არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის –
1000 მდე	30%	20%
1000 დან-2000-მდე	35%	25%
2000 დან-4000-მდე	40%	30%
4000 დან-8000-მდე	45%	35%
8000-დან	50%	40%

ცხრილი №2

	ლარშიგაცემულისესხები	უცხოურვალუტაშიგაცემულისესხები
სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი – მაქსიმალური მაჩვენებელი	80 %	7 0 %
სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალლიკვიდური უძრავი ქონების შემთხვევაში – მაქსიმალური მაჩვენებელი	90%	8 0 %

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №240

2018 წლის 18 ივნისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციით დამტკიცებული №III-14 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №III-14

ნავთობპროდუქტის სტაციონარული ობიექტის ან ბუნკირების გემის

სარეგისტრაციო ფორმა

1. ობიექტის მისამართი ----------

მიწერის ნავსადგური, ბუნკირების გემის დასახელება ----------

2. ობიექტის (მიწერის ნავსადგურის) საფოსტო ინდექსი ----------

3. ობიექტის საჯარო რეესტრში, ხოლო ბუნკირების გემის შემთხვევაში – კანონმდებლობით გათვალისწინებულ ორგანოში რეგისტაციის ნომერი და რეგისტრაციის თარიღი (თუ ობიექტი არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში) ან „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ხელშეკრულების ან/და ნავთობის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიის ნომერი ----------

საქართველოს სახელმწიფო ალმით ცურვის დამადასტურებელი დროებითი მოწმობის, ან საქართველოს სახელმწიფო ალმით ნაოსნობის უფლების შესახებ მოწმობის (გემის პატენტი) ან საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი გემის ბილეთის რეკვიზიტები: ----------

4. ობიექტის მფლობელის (საკუთრების უფლების) დასახელება და საინდენტიფიკაციო ნომერი -------

5. ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი ----------

6. ობიექტის საქმიანობის აღწერა ----------

---

7. ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემული ლიცენზიების (ნებართვების) ჩამონათვალი, მათი გამცემი ორგანოს დასახელება, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა:

---

8. ობიექტით მოსარგებლეთა ჩამონათვალი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№	მოსარგებლის დასახელება	მოსარგებლის საიდენტიფიკაციო ნომერი	მოსარგებლის იურიდიული მისამართი	ობიექტით სარგებლობის დასაწყისი	სარგებლობის დამადასტურებელი (მათ შორის, იჯარის, შენახვის და ა.შ.) ხელშეკრულების ვადა	მოსარგებლის საკონტაქტო ტელეფონები	შენიშვნა

9. ობიექტის რეზერვუარების აღწერა: მათი რაოდენობა და ტევადობები; ასევე ტერიტორიის მოკლე აღწერა ----------

10. ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი ----------

11. მარეგისტრირებელი საგადასახადო ორგანო ----------

12. მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი — — — — — — —

13. სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების თარიღი ¨ ¨ ¨ 20 წ.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონის შედეგი

22.06.2018

2018 წლის 22 ივნისს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 10 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2.4579 შეადგინა.

ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონის შედეგი

25.06.2018

2018 წლის 25 ივნისს, გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 10 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2.4545 შეადგინა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

saqarTvelos erovnuli banki

დეპოზიტების მიმდინარე ტენდენციების შესახებ

25.06.2018

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2018 წლის პირველი ივნისისათვის 20.0 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 137.7 მლნ ლარით, ანუ 0.7 პროცენტით მეტია პირველი მაისისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.4 პროცენტით მეტი). მაისში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას 58.0 მლნ ლარით, ანუ 0.5 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე გაიზარდა 0.2 პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 79.7 მლნ ლარით, ანუ 1.0 პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე - 0.8 პროცენტით).

დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის 37.75 პროცენტი შეადგინა. პირველი მაისის მდგომარეობასთან შედარებით, დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 0.17 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 0.27 პროცენტული პუნქტით).

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5.4 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 7.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 2.6 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 85.4 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 11.1 პროცენტი შეადგინა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ

25.06.2018

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2018 წლის მაისში წინა თვესთან შედარებით 239.6 მლნ ლარით (1.1 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.8 პროცენტით) და მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის 22.9 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 150.3 მლნ ლარით (1.5 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 89.3 მლნ ლარით (0.7 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.3 პროცენტით).

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2018 წლის მაისის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 2.6 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 1.0 პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით 7.0 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 0.6 პროცენტით ნაკლები) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე - 1.0 პროცენტით ნაკლები).

2018 წლის მაისის განმავლობაში 1.6 პროცენტით ანუ 192.5 მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის 12.3 მლრდ ლარს გადააჭარბა.

მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 44.92 პროცენტი შეადგინა. პირველი მაისის მდგომარეობასთან შედარებით მთლიანი სესხების ლარიზაცია გაიზარდა 0.19 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 0.29 პროცენტული პუნქტით).

კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობა

25.06.2018

2018 წლის პირველი ივნისის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 16 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 15 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. მაისში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 351.9 მილიონი ლარით, ანუ 1.0 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ზრდამ 0.8 პროცენტი შეადგინა) და 2018 წლის პირველი ივნისისათვის 35.3 მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.1 პროცენტია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

situaciuri saxelmZRvaneloebi / manualebi

ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის გამოქვითვა N 0270

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

- *სიტუაციური სახელმძღვანელო არ ეხება ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს*
- *ფაქტობრივ გარემოებებში იგულისხმება, რომ პირი აღებულ სესხს სრულად იყენებს ეკონომიკურ საქმიანობაში, ამასთან არ აქვს მიღებული მოგების/საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავლები და პროცენტის ხარჯის გამოქვითვაზე არ ვრცელდება სსკ-ით დადგენილი სხვა შეზღუდვები*
- *სახელმძღვანელო შემუშავებულია 2018 წლის 10 აპრილისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით*
- *სსკ-ის 142-ე მუხლი ძალაშია 2011 წლის 1 იანვრიდან*

ანოტაცია

„ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის გამოქვითვა N 0270“

სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტის თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალის გამოქვითვის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, რეზიდენტმა პირმა, რომელიც იყენებს დარიცხვის მეთოდს, 2015 წელს დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირისაგან აიღო სესხი უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი ვალდებულებების, როგორც დაუბრუნებელი სესხის ძირითადი თანხის, ასევე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის გადაფასებით მიღებული ზარალი ასახა გადაფასების საანგარიშო პერიოდის მოგების/საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში.

სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ პირი იყენებს დარიცხვის მეთოდს, ხარჯების გაწევის მომენტად ითვლება თანხის გადახდის მომენტი, როდესაც გადახდა უკავშირდება ფიზიკურ პირს, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული გადახდა თავის თავში მოიაზრებს როგორც მომსახურების გაწევასთან, ასევე საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული საკომპენსაციო თანხის გადახდას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სესხის ძირითადი თანხის დაბრუნება არ განეკუთვნება არც მომსახურების გაწევის და არც საქონლის მიწოდების საკომპენსაციო თანხის კომპონენტს. შესაბამისად, დაუბრუნებელი სესხის ძირითადი თანხის გადაფასების შედეგად წარმოშობილი ზარალის გამოქვითვასთან მიმართებაში არ გავრცელდება სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და აღნიშნული ზარალი აისახება იმ საანგარიშო პერიოდის საგადასახადო ანგარიშგებაში, როდესაც წარმოიშვა, იმის მიუხედავად, დაბრუნებული არის თუ არა სესხის ძირითადი თანხა.

სესხის მომსახურებაზე დარიცხული პროცენტის გადაფასების შედეგი წარმოადგენს მომსახურების საკომპენსაციო თანხის კომპონენტს. შესაბამისად, დარიცხული პროცენტის გადაფასების შედეგად წარმოშობილი ზარალი აისახება იმ საანგარიშო პერიოდის საგადასახადო ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება ამ პროცენტის გადახდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაკორექტირდება შესაბამისი გამოქვითვები პროცენტის გადაფასებით მიღებული ზარალის ნაწილში. დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში მოცემული ფაქტობრივი გარემოების ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული N2524 სიტუაციური სახელმძღვანელო - „არარეზიდენტის მიმართ არსებული ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი“, რომლის შეფასებით ნაწილშიც აღნიშნულია, რომ სესხის ძირითადი თანხის გადაფასების შედეგი არ წარმოადგენს მომსახურების საკომპენსაციო თანხის კომპონენტს, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება სსკ-ის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებათა მიხედვით დღგ-ის ჩათვლა N 11111



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

- ფაქტობრივ გარემოებაში მითითებული წლები პირობითია
- იგულისხმება, რომ საწარმო 2015-2016 წლებში მშენებლობისათვის შეძენილ მასალებზე სრულად იღებდა ჩათვლებს

სიტუაციური სახელმძღვანელო მომზადებულია 2018 წლის 26 აპრილისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ანოტაცია

“ საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებათა მიხედვით დღგ-ის ჩათვლა”

N 11111

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დღგ-ის ჩათვლის მომენტის განსაზღვრის საკითხს იმ შემთხვევებში, როდესაც ამ ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის მიღების მომენტამდე საწარმოს სხვა საქმიანობა არ განუხორციელებია.

ფაქტობრივი გარემოების მიხედვით 2015 წელს რეგისტრირებულმა საწარმომ იმავე წელს საკუთარი ძალებით დაიწყო სავაჭრო ობიექტის მშენებლობა და დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად. ობიექტი გათვალისწინებულია ორივე ტიპის დღგ-ის ოპერაციებში გამოყენებისათვის. ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდა 2016 წლის აპრილში. საწარმოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შეყვანამდე სხვა საქმიანობა (დღგ-ის დასაბეგრი ოპერაციები) არ განუხორციელებია.საწარმომ 2016 წლის აპრილის თვის დღგ-ის დეკლარაციაში დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად ასახა ექსპლუატაციაში შეყვანილი შენობა-ნაგებობის ღირებულება, ხოლო მასზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა იმავე თვეში ჩაითვალა სრულად.

პირველი ვარიანტის თანახმად სავაჭრო ობიექტის მიხედვით საწარმოს მიერ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 4%-ს შეადგენს

მეორე ვარიანტის თანახმად სავაჭრო ობიექტის მიხედვით საწარმოს მიერ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 34%-ს შეადგენს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ამასთან, საწარმოს დღგ-ის გადაანგარიშება წლის ბოლოს არ განუხორციელებია სსკ-ის 174(8.ა)-ე მუხლის მიხედვით

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტამდე სხვა საქმიანობა (დღგ-ის ოპერაციები) არ განუხორციელებია, ძირითად საშუალებაზე დღგ-ის ჩათვლის საკითხი უნდა დარეგულირდეს ახლად რეგისტრირებული გადამხდელისათვის განსაზღვრული ნორმების მიხედვით (სსკ-ის 174(9)-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც დღგ-ის ახლად რეგისტრირებული გადამხდელისათვის ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დღგ-ის ჩათვლის წესი არ გამოიყენება. შესაბამისად, საწარმოს ძირითად საშუალებებზე დღგ-ის ჩათვლის 4 შესაძლო ვარიანტიდან შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ დარჩენილი 3 შემთხვევიდან ერთ-ერთი, კერძოდ ამავე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ.ა“ ქვეპუნქტები.

შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოება გამორიცხავს 174(7)-ე მუხლის "ა" და „ბ“ შემთხვევას, შესაბამისად, ახლად რეგისტრირებულ გადამხდელს ძირითადი საშუალებების მიხედვით დღგ-ის თანხების ჩათვლის მიღების უფლება აქვს სსკ-ის 174-ე მუხლის მე-7 ნაწილის "გ.ა" ქვეპუნქტის ქვეპუნქტის მიხედვით, რომლის თანახმად თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხა საერთო ბრუნვის 20 პროცენტზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის პროპორციულად;

ზემოაღნიშნულინდა გამომდინარე ორივე ვარიანტში საწარმოს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს ჩათვლა. ხოლო მეორე ვარიანტში იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის განმავლობაში ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა აღემატება საერთო ბრუნვის 5%-ს, ჩათვლილი დღგ-ის 1/10 კალენდარული წლის ბოლოს დაექვემდებარება გადაანგარიშებას (გაუქმებებას) 34%-ის ოდენობით (სსკ-ის მუხლი174(8ა)), შესაბამისად მე-2ვარიანტში დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფულადი სახსრების უსასყიდლოდ გაცემა №2603

ფაქტობრივი გარემოებები

2017 წლის აგვისტოში დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე საწარმომ გასცა 10 000 ლარი.

მიმდინარე წელს დამფუძნებელს აღებული თანხა არ დაუბრუნებია.

დადგენილია, რომ 10 000 ლარი არ განაწილებულა არც კაპიტალის შემცირების, არც შუალედური მოგების და არც რაიმე ვალდებულების სანაცვლოდ. ასევე დადგენილია, რომ საწარმოს არ გააჩნია მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ.

შეფასება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[1] მუხლის თანახმად, განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება.

სსკ-ის 98[3] მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც ამ კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგრილია გადახდის წყაროსთან.

ამავე კოდექსის 97-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, დამფუძნებლის მიერ მიღებული თანხა უსასყიდლოდ მიღებულად ჩაითვლება და სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაიბეგრება გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის 20%–იანი განაკვეთით.

ღონისძიებები

საწარმოს დაერიცხება საშემოსავლო გადასახადი და დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის, დაუკარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.

➢ *სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით*

➢ *სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ დამფუძნებელს არ აქვს გადასახადის გადამხდელის მოწმობა*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ანოტაცია

„ფულადი სახსრების უსასყიდლოდ გაცემა“ №2603

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ფულადი სახსრების უსასყიდლოდ გაცემის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, 2017 წლის აგვისტოში დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე საწარმომ გასცა 10 000 ლარი. მიმდინარე წელს დამფუძნებელს აღებული თანხა არ დაუბრუნებია.

დადგენილია, რომ 10 000 ლარი არ განაწილებულა არც კაპიტალის შემცირების, არც შუალედური მოგების და არც რაიმე ვალდებულების სანაცვლოდ. ასევე დადგენილია, რომ საწარმოს არ გააჩნია მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98[1] მუხლის თანახმად, განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. სსკ-ის 98[3] მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც ამ კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგრილია გადახდის წყაროსთან. ამავე კოდექსის 97-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, დამფუძნებლის მიერ მიღებული თანხა უსასყიდლოდ მიღებულად ჩაითვლება და სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაიბეგრება გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის 20%–იანი განაკვეთით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

es sainteresoa

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები - ჯონ როკფელერი

ჯონ როკფელერი (John Davison Rockefeller, 1839 — 1937) — ამერიკელი ბიზნესმენი, მსოფლიოს პირველი მილიარდერი. მისი ქონება სიმდიდრის მწვერვალზე 318 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა (2007 წლის დოლარის კურსით) და ამ დროს იგი 74 წლის იყო. ახალგაზრდობაში როკფელერი მხოლოდ ორ რამეზე ოცნებობდა: ეშოვა 100 ათასი დოლარი და ეცოცხლა 100 წელი. იგი გარდაიცვალა ორი თვით ადრე, სანამ 98 წლის გახდებოდა, თუმცა პირველი ოცნება მან აისრულა.

ჯონ როკფელერი საშუალო შემლების ოჯახში დაიბადა. მისი მამა უილიამ ავერი როკფელერი, რომელიც ცნობილი იყო ზედმეტსახელით „დიდი ბილი“, ყველაზე მეტ დროს იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გაქცეოდა სამუშაოს. დედამისი ელიზა კი, როგორც ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენელი, შვილს ბავშვობიდანვე უნერგავდა რწმენასა და შრომის სურვილს.

როკფელერმა მოღვაწეობა უბრალო ბუღალტრის რანგში დაიწყო, შემდგომში საბითუმო ვაჭრობის მცირე ბიზნესი წამოიწყო და ბოლოს მსოფლიოში უმსხვილესი ნავთობ-კომპანიის **Standard Oil**-ის დამფუძნებელი გახდა. მისი კომპანია კი ისტორიაში შევიდა, როგორც აშშ-ის ყველაზე მასშტაბური მონოპოლია. Standard Oil-ს ამერიკის ნავთობის ბაზრის 90% ეკავა. 1911 წელს შერმანის ანტიმონოპოლიური კანონის შემოღების შედეგად Standard Oil 34 დამოუკიდებელ კომპანიად დაიყო, თითოეულის საკონტროლო პაკეტი კი სწორედ როკფელერს ეკუთვნოდა. Standard Oil-ის გაყოფამ ამ უკანასკნელის პირადი კაპიტალი ორჯერ გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ დაწყებული პირველი სამუშაო ადგილიდან როკფელერი საკუთარი შემოსავლის 10%-ს მუდმივად ეკლესიას სწირავდა. ამას გარდა, იგი აქტიურად იყო დაკავებული საქველმოქმედო საქმიანობით და ისტორიას შემორჩა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფილანთროპი. როკფელერის საქველმოქმედო ფონდი ამ დრომდე აგრძელებს ფუნქციონირებას.

---------- gadasaxadebi #

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com